პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 173 (9840) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## სეულის ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 10 დღე

# ყველაფერი საბჭოთა ოლიმპიელებზე

**საბჭოთა** კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სეულის თამაშებში მონაწილეობა 1988 წლის 11 იანვარს გამართულ პლენუმზე გადაწყვიტა. ეს იყო ოლიმპიზმის იდეებისადმი ერთგულების კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება.

**საბჭოთა** და უცხოელი სპეციალისტების შეფასებით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის საჭირო იქნება სულ ცოტა 50 ოქროს მედლის მოპოვება. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა, იმავე სპეციალისტების აზრით, შეუძლიათ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიელებს.

**ჩვენი** ქვეყნის ოლიმპიურ დელეგაციაში წარმოდგენილია 97 ქალაქი. საბჭოთა დელეგაციაში შეყვანილია 145 სპორტის დამსახურებული ოსტატი, მათ შორის 26 ოლიმპიური ჩემპიონის სახელს ატარებს. გუნდში სხვადასხვა პერიოდის 145 მსოფლიო ჩემპიონია.

**ოლიმპიელთა** საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენს. ყველაზე ახალგაზრდული გუნდები ჰყავთ მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს (17 წელი) და წყალში მხტომელებს 19,5 წელი). ვეტერანთა გუნდები შეიძლება ვუწოდოთ წყალბურთელთა (27 წელი), ცხენოსანთა (34 წელი) და მესტენდურეთა (35,8 წელი) კოლექტივებს.

**სეულში** საბჭოთა სპორტსმენების გარდა მიემგზავრებიან საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები, ტექნიკური და სამედიცინო კომისიების წევრები, აგრეთვე 36 მსაჯი და ჟიურის წევრი, 900-მდე აკრედიტებული ჟურნალისტი.



**ოლიმპიელთა** ტრანსპორტირება იწარმოებს აეროფლოტის რეისებით მოსკოვიდან, ხაბაროვსკიდან და ვლადივოსტოკიდან. ამასთან საგანგებო ყურადღება მიექცევა სპორტსმენთა კლიმატურ ადაპტაციას. მოსკოვიდან გამგზავრებული ოლიმპიელები სეულში, როგორც წესი, 7-10 დღით ადრე ჩავლენ, შორეული აღმოსავლეთის ზონიდან კი 3-5 დღით ადრე.

**საბჭოთა** სპორტსმენების პირველი ჯგუფი უკვე ესტუმრა პუსანსა და სეულს. ისინი იქ თბომავალმა „მიხეილ შოლოხოვმა" ჩაიყვანა. თამაშების პროცესში ეს გემი ინჩხონის პორტში იდგება. დღეს სეულში თვითმფრინავით ჩავა სპორტსმენთა 130 კაციანი ჯგუფი.

სურათზე: ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი კორპუსი.

●

ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მე-4 გვერდზე.

# ოთხი ჩემპიონი

**ყაზანში** დამთავრდა პროფკავშირული საზოგადოების საკავშირო პირველობა 1972-1973 წლებში დაბადებულ სამბისტთა შორის. გუნდური ჩათვლა აქ არ სწარმოებდა, ამიტომ ჩვენი რესპუბლიკა რვა მოჭიდავით იყო წარმოდგენილი. მათგან ოთხმა ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ერთი კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. ამ შედეგით ჩვენი მოჭიდავეები II ადგილს დაიკავებდნენ და წინ გაუშვებდნენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის კოლექტივს, რომელმაც შეჯიბრებაში 70 სამბისტი გამოიყვანა.

ჩემპიონები გახდნენ: 52 კგ. რუსთაველი რამაზ ზედგენიძე (მწვრთნელი ვასილ ჩიხრაძე), 70 კგ. საგარეჯოელი ნიკოლოზ გაგნიაშვილი (მწვრთნელი როინ ყორღანაშვილი), 87 კგ. რუსთაველი ვეფხია ავალიანი (ვასილ ჩიხრაძე), 97 კგ. თელაველი ბესიკ ბახსოლიანი (მწვრთნელი გია ფოთოლაშვილი). III საპრიზო ადგილი თბილისელმა ზურაბ მიქაძემ დაიკავა.

ტურნირზე დაწესებული პრიზი „საუკეთესო ტექნიკისათვის" ნიკოლოზ გაგნიაშვილს გადაეცა, რომელმაც 5 შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო.

ყველა ჩემპიონი და პრიზიორი (ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ანზორ ზურაბაული) პროფკავშირების საკავშირო ნაკრებშია შეყვანილი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატისთვის მოემზადება.

## ტელეტაიპი-მკითხველი

**სოფია.** ოლიმპიადის წინ კარგ ფორმაშია მსოფლიო ჩემპიონი სამხტომში, ბულგარელი ხრისტო მარკოვი. ქვეყნის ჩემპიონატში მან კიდევ ერთი ბრწყინვალე ნახტომი შეასრულა — 17 მ. და 77 სმ, თუმცა ურიგო არც ორი სხვა ცდა იყო — 17,75 მ და 17,73 მ.

**ათენი.** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 400 მეტრიან დისტანციაზე კუბელმა რობერტო ერნანდესმა ამერიკელ უოლტერ მაკოის აჯობა. კუბელის დროა 44,62, ამერიკელის — 44,82. კვლავ მაღალი შედეგი აჩვენა 110 მეტრზე თარჯრბენში როჯერ კინგდომმა (აშშ) — 13,03.

**ოსლო.** საერთაშორისო „ნახევარმარათონში" კენიელმა ჯოზეფ ჩელელგომ 21 კილომეტრიანი დისტანცია 1:02.43-ში გაირბინა. ქალთა შორის უძლიერესი იყო ინგლისელი ვერონიკ მარო — 1:10.40.

**ჰელსინკი.** ფინეთისა და შვეციის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრაში სიმაღლეზე ხტომა ვაჟთა შორის მოიგო მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა პატრიკ შოობერგმა (შვეცია) — 230 სმ.

**ბრიუსელი.** ბელგიის ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გახდა პატრიკ სტივენსი, რომელმაც დისტანცია 20,72-ში გაირბინა.

**ნიცი.** საფრანგეთის ამ ქალაქში გამართულ სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ნორბერ ბრიგემ (საფრანგეთი) — 822 სმ.

**ლოს-ანჯელესი.** სპრინტერ ვაჟთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენა მოიგო მაიკ მარშმა — 10,19. იგი უძლიერესი იყო 200 მეტრიან დისტანციაზეც — 20,36.

**საპორო.** კუნძულ პოკაიდოს მთავარი ქალაქის ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში პირველი ადგილი დაიკავა მასაიუკი ნისიმ — 2:17.11.

**სარაევო.** იუგოსლავიის ჩემპიონატზე 800 მეტრიანი დისტანცია ქალთა შორის სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით მოიგო სლობოდანკა კოლოვიჩმა 1.57,93.

**ბანსკა-ბისტრიცა** (ჩეხოსლოვაკია). მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში სიმაღლეზე ხტომაში 21 წლის მოსკოველმა სერგეი მალჩენკომ 238 სმ დასძლია და მიმდინარე სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი გაიმეორა.

**დელი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 110 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო რ. ნეჰემია (აშშ) — 13.55.

# გუდაურის მზადყოფნისათვის

**როგორ** მიმდინარეობს მზადება გუდაურში ზამთრის ახალი სპორტული სეზონის გახსნისა და დიდი საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც აქ გაიმართება 1989 წლის მარტში? ამ საკითხებზე იყო საუბარი გუშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ საგანგებო თათბირზე. თათბირს ესწრებოდნენ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები. ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს სასტუმრო კომპლექსების, სამთო-სათხილამურო ტრასების, თოვლსატკეპნი მანქანების, საბაგირო გზების, ფასანაურ—გუდაურის ავტომაგისტრალის მზადყოფნაზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. მელქაძემ.

# ვაჟებს—სამივე საპრიზო ადგილი

### სერგო შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წყალში მხტომელთა საკავშირო ტურნირი

**1988 წელს** კანადის ქალაქ ედმონტონში გამართულ სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე ასპარეზობისას ტრაგიკულად დაიღუპა თბილისელი სპორტსმენი, სსრ კავშირის თასის სამგზის მფლობელი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და ევროპის ჭაბუკთა პირველობის ვერცხლის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სერგო შალიბაშვილი. სიკვდილის შემდეგ, იმავე წელს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით შალიბაშვილი „ოლიმპიური ორდენის" ვერცხლის ნიშნით დაჯილდოვდა, სამი წლის წინათ კი გადაწყდა, რომ მის მშობლიურ თბილისში ამ შესანიშნავი სპორტსმენის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო ტურნირი დაწესებულიყო და დაწესდა კიდეც



3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობს გიორგი შელიუგოვი.

ახლა ამ შეჯიბრებას მესამედ მასპინძლობს თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი, სადაც გასაგები მიზეზის გამო ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრები არ გამოდიოდნენ.

ვაჟთა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სამივე საპრიზო ადგილი მასპინძლებმა მოიპოვეს. პირველი იყო საკავშირო თასის მფლობელი გიორგი შელიუგოვი („დინამო"). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გოჩა გახარია და იური შუკუროვი (ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).



დიანა მჭედლიძე.

ქალთა შეჯიბრებაში, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, უძლიერესი იყო ასევე თბილისელი სპორტსმენი, სსრ კავშირის ექსჩემპიონი დიანა მჭედლიძე (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ბაქოელ სპორტსმენებს ოლგა ვოლჩკოვასა და ელვირა ჯაფაროვას.

დღეს თბილისში ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვაჟთა VIII საერთაშორისო ტურნირი.

# „შენ მაგარ ოსტატის სახელი გაგიტანს"

**ვიქტორ გოგლიძეს,** ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ მოყვარულს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში არაერთი მეგობარი ჰყავდა. იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა ცნობილ ქართველ პოეტს პაოლო იაშვილს, თავის მხრივ, ჭადრაკის დიდ ტრფიალს.

პაოლო იაშვილი ხშირად დადიოდა თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, მას, უპირველეს ყოვლისა, ვიქტორ გოგლიძის პარტიები აინტერესებდა. ასე იყო მაშინ, როცა ქართველი მოჭადრაკე ცნობილ ოსტატ ნენაროკოვს ხვდებოდა, ასე იყო მაშინაც, როცა ჩვენს დედაქალაქს ავსტრიელი მაესტრო ჰანს კმოხი ეწვია.

როცა ვიქტორ გოგლიძემ მიწვევა მიიღო ეთამაშა უაღრესად პრესტიჟულ შეჯიბრებაში, მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩატარდა ჭადრაკის კორიფეების ემანუილ ლასკერისა და ხოსე რაულ კაპაბლანკას, აგრეთვე უძლიერესი ახალგაზრდა დიდოსტატების მონაწილეობით, პაოლოს თბილისში რა გააჩერებდა! იგი შეუერთდა გოგლიძის პატარა ამალას, სადაც ნიკოლოზ სოროკინი (მწვრთნელი) და ქართველი ოსტატის მეგობარი ალექსანდრე ფალავანდიშვილი შედიოდნენ. ტურნირმა გოგლიძის გულშემატკივრებსა და ქომაგებს დიდი მღელვარება მოუტანა. პაოლო აღტაცებული დარჩა, როცა ვიქტორ გოგლიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულ გენიალურ კაპაბლანკასთან. ასეთი წუთების დავიწყება შეუძლებელი იყო, თვით კაპაბლანკამ ხომ პარტიის შემდეგ ქართველი ოსტატის ხელოვნება აღიარა.

თუმცა ვიქტორ გოგლიძისა და პაოლო იაშვილის ურთიერთობაზე ყველაზე უკეთ თვით პოეტის ლექსი მოგვითხრობს.

**ჭადრაკის ქართველ ოსტატს**

შევხვდებით ერთმანეთს ვხედავ, რომ ჩალაგდა
ყოველი პაიკი შემტეველ რაზმებად,
და „მეფე" ბრძოლების განწირულ ალაგთან
თანდათან შებოჭეს რკინების თახმებმა.

ვსაუბრობთ... მე ვფიქრობ: ნეტა რას ჩაწერდა
და ვხედავ თვალებში შუქია ნეტარი,
ვხედავ, რომ ჭადრაკის ეშმაკურ ფაცერთან
ულონოდ ლანღალობს შავების მხედარი.

გადავალთ ლექსებზე, ჩემს შრომის მაგიდას
დღეს დარჩა ნამტვრევად დაყრილი პწკარები.
შენ მაგარ ოსტატის სახელი გაგიტანს,
მე — ჩემი ფიქრების გაშლილი კარები.

არ ვიცი, რად იყო ასეთი მარტივი
შეხვედრა, ღიმილი, შენთან რომ მოვედი,
ასე პირველი ქართული პარტიის
და ჩემთვის — ნამდვილი ბრძოლების პოეტი.

შენ უკვე გაიგე, რა არის ძილის წინ
უეცრად შეხტომა, კაცს რომ არ აძინებს,
შენ უკვე გაიგე, მკაცრია თბილისი
და თავის არჩეულს თვალს არ მოაცილებს.

რჩეულთა ეგ ბედი ხშირად დაძლეულა,
ჰო, მაგრამ სიხარულს ეგ ფიქრი მოგვტაცებს,
არავის არ სძინავს ისე აბნეულად,
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს.

პაოლო იაშვილი (1933 წ).

●

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ძიუდოში** — გია ცისკაძეს (ორჯონიკიძე, პროფკავშირები), თეიმურაზ რატიანს (თბილისი, „დინამო"), ბესიკ ნათელაშვილს (დუშეთი, პროფკავშირები), ვეფხია კაპანაძეს (თბილისი, „დინამო"), იოსებ ჭყოუნიშვილს, მამუკა ხმალაძეს, ზელიმ გულბიანს (სამივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები"), ხვიჩა გუგავას (თბილისი, პროფკავშირები), ზურაბ კახაბრიშვილს (თბილისი, ასკ), დავით გორგაძეს (თბილისი, „დინამო"), ზურაბ დიასამიძეს (ქობულეთი, პროფკავშირები), მერაბ კუჭუხიძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), რომან კოპაძეს (გორი, პროფკავშირები), რევაზ შუკვანს (თბილისი, „დინამო"), ვასილ პაპიაშვილს (თბილისი, ასკ), ნესტორ გუბელაძეს (ქუთაისი, „დინამო"), ირაკლი ქავთარაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), დავით თურმანიძეს (გორი, პროფკავშირები), კოტე გერლიანს (სოხუმი, „დინამო"), ხვიჩა ბუძიშვილს (თბილისი, ასკ), გოჩა ბერიძეს (ბათუმი, „დინამო"), მალხაზ ბახბახიშვილს (თელავი, პროფკავშირები), კახა ქურასბედიანს (თბილისი, ასკ).

# ყური მივუგდოთ მასწავლებლის ხმას

**„პატივცემულო რედაქცია! გთხოვთ დაგვეხმაროთ, გაიზიაროთ ჩვენი გულისტკივილი" — მოგვმართავენ ხილნალის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის ფილიპე მახარაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები.**

ახლაც თვალწინ მიდგას — როგორი იმედით შემომცქეროდნენ.

მრავლად წამიკითხავს პრესაში გამოქვეყნებული ისეთი კრიტიკული წერილები, სადაც, როგორც წესი, ჯერ დადებით ფაქტებს ჩამოთვლიან, ნაკლს კი ბოლოსთვის მოიტოვებენ. ამჯერად, ეს წესი უნდა დავარღვიო — მართალია, ამ სკოლაში ბევრი კარგი ვნახე, მაგრამ სპორტული დარბაზისა და ინვენტარის უქონლობამ ძალიან გამაოცა. ასე რომ, უმჯობესია, პირდაპირ ნაკლით დავიწყოთ.

ფიზკულტურის მასწავლებელი გელა პაპაჩაშვილი ამ სკოლაში 1986 წლიდან მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მოსწავლეთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. გელა მასწავლებელი დიდი მონდომებით ეკიდება საქმეს და ცდილობს, თავისი აღსაზრდელები ფიზიკურად ჯანმრთელნი და ჯანსაღნი აღიზარდონ.

ენთუზიაზმით აღსავსე პედაგოგს დიდი ხანია ერთ რამეზე შესტკივა გული:

„სულ მცირე სპორტული დარბაზი მაინც რომ გვქონდეს... ნატრობს იგი... 1990 წლისთვის შეგვპირდნენ. იქნებ, მაშინ მაინც გვეშველოს, იქნებ, მართლა მოიცალონ ჩვენთვის.

სპორტული ინვენტარიც რომ არ გვაქვს? რამდენიმე ბურთი, ტანვარჯიშული ღერძი და შვედური კედელი, მაგიდის ჩოგბურთი — აი, ჩვენი ავლა-დიდება. ერთი სიტყვით, არ ვიცით, ფიზკულტურის გაკვეთილები სად ჩავატაროთ, სად ვათამაშოთ ბავშვები, თამაშის გარეშე კი უბრალოდ წარმოუდგენელია ბავშვობა. კიდევ კარგი, სკოლას გააჩნია სამი სპორტული მოედანი — ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის, მაგრამ მათი გამოყენება მხოლოდ კარგ ამინდში თუ ხერხდება.

ზამთარში, როცა აცივდება და მოთოვს, ფიზკულტურის გაკვეთილებს ჩვეულებრივ საკლასო ოთახში ვატარებთ, იქ ლუმელს ვეფიცხებით და გამოდარებას ველით".

გელა მასწავლებელმა კარგად იცის, როგორ უყვართ მოსწავლეებს ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, და შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ. აქ გახსნილია კალათბურთის, ფრენბურთის, მინი-ფეხბურთის, მძლეოსნობის, შაშის და ჭადრაკის სექციები, რომლებშიც ყველა ასაკის მოსწავლეები მეცადინეობენ.

„წელიწადში ორჯერ, შემოდგომით და გაზაფხულობით, ვატარებთ შიდა-სასკოლო შეჯიბრებებს, ვმონაწილეობთ სარაიონო შეჯიბრებებშიც. მიმდინარე წლის მაისში მონაწილეობა მივიღეთ მინიფეხბურთელთა სარაიონო პირველობაში და მეორე საპრიზო ადგილიც დავიკავეთ. მომავალში განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ამხანაგური შეხვედრები მეზობელ სოფლებთან — ტიბაანთან, ბოდბისხევთან, ზემო მაჩხაანთან.

ერთი სიტყვით, გვინდა, ჩვენც გამოვცოცხლდეთ, ავმოძრავდეთ, მაგრამ, როგორ, რანაირად?!

არადა, რამდენი ნიჭიერი ბავშვი გვყავს: რამაზ მენთეშაშვილი, ალექსანდრე ყატაშვილი, თამილა შანშიაშვილი, მიშიკო შანშიაშვილი, ხათუნა პაპუაშვილი და მრავალი სხვა.

თუ ახლავე არ ჩაეყარა საფუძველი მათ სწორ ფიზიკურ განვითარებას, მერე გაცდენილ დროს ვეღარაფერი აანაზღაურებს. ეს ცხოვრების კანონია. პატარებს ხომ ძალიან უყვართ სპორტი, ოღონდ გზის გაკვლევა ესაჭიროებათ".

აღმზრდელისა და მისი აღსაზრდელების ამ საერთო გულისტკივილს, ვფიქრობთ, გამოეხმაურებიან კოლმეურნეობა და სასოფლო საბჭო. ეგებ ერთობლივი ძალებით მოხერხდეს რაიმე, ამას ხომ მომავალი თაობის ინტერესები მოითხოვს.

**მაია იაკობიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

**ახალი სასწავლო წელი ამ ერთი კვირის წინ დაიწყო. დაიწყო იგი სახალხო განათლების სისტემაში გარდაქმნის ხულისკვეთებით. მაგრამ გარდაქმნა, ცხადია, თავისთავად არ მოვა, ვერც მხოლოდ სკოლა და მხოლოდ საგნის მასწავლებელი გადაწყვეტს ამ რთულ ამოცანას. საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციების, შეფების, მთელი საზოგადოებრიობის თანადგომა. მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა ხომ ჭეშმარიტად საყოველთაო საზრუნავია!**





# ცოდნის დღესასწაულზე



1 სექტემბერს ცოდნის დღესასწაულზე ათასობით რუსთაველმა მოსწავლემ მოიყარა თავი ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში, სადაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომკავშირული პარკი.

ახლადგაკეთებულ მინიფეხბურთის მოედანზე ჩატარდა შეჯიბრება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდა საბინაო-საექსპლოატაციო უბნების 11 გუნდი. გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, გირების აწევაში, საჩვენებელი გამოსვლები გამართეს აკრობატებმა, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებმა.

**რაჟდენ გაბრიჭიძე,**
„ლელოს" საკ. კორ.

ავტორის ფოტოები.

რეიდი

# სპორტსმენებს არ დააცალეს

წელს სოფელ თეთრწყლებში მეთორმეტედ ჩატარდა სამასი არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული დღესასწაული — არაგველობა. თელავიდან ზეიმის ადგილისკენ სპორტკომიტეტის წარმომადგენლებს, ჭიდაობის სკოლის 16 აღსაზრდელს და თელავის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან არსებულ ძალოსანთა კლუბის წევრებს დავემგზავრე.

ზეიმი ქართული ჭიდაობით დაიწყო — დოლისა და ზურნის ხმაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ადგილობრივი ფალავნები ვილს არ უდებდნენ მათზე გამოცდილ, სპორტულ ჯგუფებში დაოსტატებულ თანატოლებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმაც გამოიღეს ხელი — ბევრმა მათგანმა მოირგო ჩოხა. მალე, როგორც ფალავნები, ისე გულშემატკივრები, აზარტში შევიდნენ, ასპარეზობაც სულ უფრო საინტერესო ხდებოდა და... სწორედ ამ დროს გამოგზავნეს კაცი „უფროსებმა" — მთელი ხალხი ჭიდაობას უყურებს, ჩვენ მიტინგის დაწყება გვიგვიანდება, ახლავე შეწყვიტეთ ორთაბრძოლებიო. სპორტკომიტეტი დაემორჩილა რაიონის ხელმძღვანელთა ნება-სურვილს და ასპარეზობა შეწყდა. ხალხი ბუზღუნით დაიშალა.

შემდეგ საზეიმო კონცერტის პარალელურად გაიმართა ძალოსანთა შეჯიბრება. აქ თელავის ძალოსანთა კლუბის წევრებმა გამოიჩინეს თავი — ატაცში ყველას აჯობა შალაურელმა ვაჟა პატარაშვილმა, აკვრაში — რუისპირელმა გოჩა პაპუნაშვილმა. მათ სამახსოვრო ჯილდოები გადასცეს.

მოგეხსენებათ, ხევსურები კარგი მხედრები არიან (სოფელ თეთრწყლებში, ძირითადად, ხევსურეთიდან გადმოსულები ცხოვრობენ) და მათთან არცერთი დღესასწაული არ ჩაივლის დოლის გარეშე. არც ეს დღე იყო გამონაკლისი — სპორტული ზეიმი დოლით დასრულდა.

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
„ლელოს" საკ. კორ.

თელავი.

## მკითხველთა წერილები

# შევქმნათ ქართული ფეხბურთის კორიფეების ხსოვნა

უკანასკნელ პერიოდში პრესაში ხშირად იბეჭდება მასალები დიდი სპორტიდან წასული სპორტსმენების ბედ-იღბლის შესახებ, მაგრამ, ჩვენი აზრით, შედარებით ცოტას ვწერთ გარდაცვლილ სპორტსმენებზე. ყოველივე ზემოთქმული ეხებათ წარსულში გამოჩენილ ფეხბურთელებსაც.

ვფიქრობთ, არ იქნება ცუდი, თუ „დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზე გამოინახება ადგილი ხეივნის გასაშენებლად, სადაც დაიდგმება ბიუსტები წარსულში ცნობილი ფეხბურთელებისა, რომლებმაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს ქართული ფეხბურთის განვითარებას. ასეთებად გვესახებიან: ა. ქორდანია, ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, ვ. პანიუკოვი, მ. ბერძენიშვილი, გ. ანთაძე, ვ. ბერეჟნოი, ა. ღოღობერიძე, შ. იამანიძე, ვ. მარღანია, ა. ტყეზუჩავა, ვ. დარასელია, თ. სტეფანია და სხვები.

გარდა იმისა, რომ ასეთი ხეივნის შექმნა თავისთავად გამოჩენილ სპორტსმენთა ხსოვნის უკვდავყოფაა, მას, ჩვენი აზრით, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექნება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია თბილისის „დინამოში" ახალი ფეხბურთელის მიღების რიტუალი ჩატარდეს ამ ხეივანში, გულშემატკივრების თანდასწრებით, რაც უდაოდ გაზრდის ფეხბურთელის პასუხისმგებლობას და რესპუბლიკის პირველი გუნდის წევრად მის კურთხევას საზეიმო ელფერს მისცემს.

ვფიქრობთ, ეს ღონისძიება არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ სახსრებთან. ქართველ ხელოვნების მოღვაწეთა (არქიტექტორები, მხატვრები, მოქანდაკეები) შორის საკმაოდ მოიპოვებიან ქართული ფეხბურთის თაყვანისმცემლები, რომლებიც არ დაიზარებენ ამ ხეივნისათვის ბიუსტების უსასყიდლოდ გაკეთებას და გაფორმებას.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს წინადადება აუცილებლად ამ სახით უნდა განხორციელდეს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ იგი ფართო გამოხმაურებას და მხარდაჭერას პოვებს, მით უმეტეს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი ხეივანი ჩვენი ქვეყნის არც ერთ სტადიონზე არ არსებობს.

**შ. ანდრიაძე,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი;**

**ჰ. ნინიძე,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი.**

# რატომ მაკლებენ გაზეთებს?

რამდენიმე წელია ვიწერ „ლელოს", მაგრამ ყველა ნომერს არ ვღებულობ. ჩვენს ფოსტაში მეუბნებიან, რასაც აგზავნიან საქართველოდან ჩვენც ის მოგვაქვსო. ვის მოვთხოვო პასუხი, ფულს ვიხდი, გაზეთებს კი სრულად არ ვიღებ. მაგალითად 1987 წელს არ მიმიღია 20 ნომერი. 1988 წელს კი დღემდე 31 ნომერი. მარტო ამ წლის აგვისტოში 25 რიცხვამდე არ მიმიღია 2, 3, 9, 14 და 17 აგვისტოს ნომრები.

მომავალი წლისთვისაც გამოვიწერე გაზეთი. იმედია, წლევანდელივით სანანებელი არ გამიხდება და ყველა ნომერს მივიღებ.

**ე. დიასამიძე,**
ხარკოვი.

**რედაქციისაგან: ამ წერილს ვაქვეყნებთ იმიტომაც, რომ იგი ტიპიურია. სხვადასხვა დროს ამავე შინაარსის წერილები მივიღეთ მოსკოვიდან, ხაბაროვსკიდან, მინსკიდან, ტალინიდან, სტავროპოლიდან, კიშინიოვიდან, ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. რატომ აკლებენ ხელმომწერებს გაზეთებს? ამ საკითხით ჩვენც დავინტერესდით.**

**ლ. ვარამაშვილი** — პრესის გავრცელების სააგენტოს უფროსი ინსტრუქტორი: სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონებში და საზღვარგარეთ ხელმომწერთა საბუთების გაფორმებას ჩვენ ვახდენთ, პრაქტიკულად კი ყოველგვარ პრესას აგზავნის ჟურნალ-გაზეთების ექსპედიცია. ექსპედიცია მდებარეობს ხოშარაულის ქუჩაზე, იქ, სადაც რესპუბლიკური გაზეთები იბეჭდება.

**ნ. შოშიაშვილი**— რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციის უფროსი: ჩვენთან „ლელოს" ის ტირაჟი, რომელიც იგზავნება რესპუბლიკის გარეთ, ცალკე მუშავდება. გაივლის სპეციალურ მანქანას, სადაც აღინიშნება ხელმომწერის მისამართი. ასე რომ, ჩვენთან გაზეთის დაკლება გამორიცხულია. შემდეგ გაზეთები იგზავნება აეროპორტში, იქ ახარისხებენ და აგზავნიან ქალაქების მიხედვით, როგორც წესი, უბრალო გზავნილებით. არ არის გამორიცხული, რომ გაზეთები იკარგება აგრეთვე იმ ფოსტაში, რომელიც ხელმომწერს ემსახურება.

**კვლავ რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, დიდი სურვილის მიუხედავად ვერაფერი გავარკვიეთ. კონკრეტულად პასუხისმგებელი პიროვნების, მით უფრო დამნაშავის მიგნება, თურმე ძალიან ძნელი ყოფილა. მეტიც, პრაქტიკულად გამორიცხულია. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ რომელიღაც უბანზე, რომელიც გაზეთმა ხელმომწერამდე უნდა გაიაროს, ვიღაც გულგრილად ეკიდება მოვალეობას. ბოლოს და ბოლოს ახალ გაზეთს, ვთქვათ, იგივე აეროპორტში, ვიღაც წასაკითხად გადადებს გვერდზე და... ასე აკლდებათ გაზეთები ხან ვის და ხან ვის. რა ვქნათ? ნუთუ მართლა არავინ აგებს პასუხს? იქნებ გარდაქმნის შუქმა აქაც შეიტანოს სიცხადე.**

# საყვედურები საქმეს არ შველის

**ჩვენი** აზრით, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გააჩნია, ქართული ფეხბურთისადმი დახმარების გაწევის ერთი გამოუყენებელი რეზერვი — ესაა წამყვან ფეხბურთელთა პოპულარიზაცია. საზოგადოებრიობას უნდა გავაცნოთ „დინამოსა" და საქართველოს სხვა გუნდების ლიდერები.

ამავე დროს, ვფიქრობ, უნდა აიკრძალოს ქართული ფეხბურთის და კერძოდ, თბილისის „დინამოს" მისამართით საყვედურებით აღსავსე წერილების ბეჭდვა. ასეთი წერილები უკვე მეექვსე წელია ძალიან ხშირად ქვეყნდება. ვიზიარებ იმათ აზრს, ვინც თვლის, რომ ამგვარი წერილები ნერვულ ატმოსფეროს ქმნის გუნდში.

**ო. კორაშვილი,**
რუსთავი.

# ველით ახალ ნორმატივებს

როგორც თქვენი გაზეთი წერდა, მომავალში ფიზიკურ მომზადებაში აბიტურიენტთათვის განკუთვნილი ჩათვლების ნორმატივები გართულდება. ჩათვლები წელს პირველად ჩატარდა და ცნობილია, რომ იგი მოიწონა ფართო საზოგადოებრიობამ. თუ კიდევ ვაპირებთ ამ ღონისძიების გაგრძელებას, მაშინ წულარ დავაყოვნებთ, ამთავითვე გამოაქვეყნეთ ახალი ნორმატივები, რომ აბიტურიენტებს და იმათაც, ვინც შემდგომ წლებში აპირებენ შესვლას უმაღლეს სასწავლებელში, მივცეთ გულდადებით მომზადების საშუალება.

**ვ. მენაბდე,**
**მშობელი.**

თბილისი.

# სსრ კავშირის თასზე

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი) 2:1 (2:1).**

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 5 სექტემბერი.**

**„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, ანდღულაძე, დანელია, პარხომენკო, ცომაია, ჟორდანია (ცაკილაშვილი), ხლუსი (ცხოვრებაშვილი), კორდალიძე, ფრიდონაშვილი (იავორსკი), გოგრიჭიანი.**

**„დინამო“: ჩანოვი (ჟიდკოვი), ბესონოვი (კორნიეცი), ბალი, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი (შმატოვალენკო), გორილი, ლიტოვჩენკო, იარემჩუკი, პროტასოვი, ბელანოვი.**

**მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი).**

**სსრ კავშირის** საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი ამ გუნდებს შორის კიევში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0 და იმის იმედი, რომ საპასუხო მატჩში ლანჩხუთელი ფეხბურთელები სრულ რევანშს აიღებდნენ, ე. ი. 3 ბურთის სხვაობით დაამარცხებდნენ კიევის „დინამოს“, ძნელი საფიქრებელი იყო. თვით იმ პირველი თამაშის ანგარიშიც თავისთავად საპატიო იყო პირველი ლიგის გუნდისთვის, რომელსაც მეტოქედ აღიარებული ფავორიტი ჰყავდა, მაგრამ კიევში კარგად ჩატარებული მატჩის განმტკიცება საჭირო იყო შინაც, „გურიის“ სტადიონზე.

ერთი სიტყვით, „გურია“ საპატიო ამოცანის წინაშე იდგა და გუნდმა მონდომებული, ენერგიული, კვალიფიციური თამაშით გაამართლა გულშემატკივართა იმედები. ეს განსაკუთრებით ეხება მატჩის პირველ ნახევარს, რომელიც ლანჩხუთელებმა საგრძნობი უპირატესობით, მობილიზებულად და გამარჯვებისადმი სწრაფვით ჩაატარეს. კიეველთა კარი დასაწყისიდანვე მასპინძელთა ხშირი იერიშების ობიექტად იქცა, მიმდინარეობდა მე-14 წუთი, როცა „გურიის“ ფეხბურთელებმა სწრაფი კომბინაცია განახორციელეს, გოგრიჭიანმა ბურთი გადასცა ხლუსს და ამ უკანასკნელმაც შორი მანძილიდან აიღო კიეველთა კარი. ათიოდე წუთის შემდეგ დანელიამ ანგარიში 2:0-მდე გაზარდა.

ორი მატჩის საერთო ჯამში ანგარიში გათანაბრდა — 2:2, კიეველებიც დამარცხების აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ ამ სიტუაციაში გუნდი ბელანოვმა იხსნა, რომელმაც ერთი საპასუხო გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპი შესამჩნევად დაცხრა, კიეველები უფრო აქტიურად ამოქმედდნენ და, თუმცა, დამარცხებას თავი ვერ დააღწიეს, თავის ამოცანა მაინც შეასრულეს: ორი მატჩის ჯამში ისინი მერვედფინალში გავიდნენ, სადაც ვილნიუსის „ჟალგირისს“ შეხვდებიან.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ ლანჩხუთის „გურიის“ მონდომებული და კარგი თამაში. მატჩის დაწყების წინ დიდი ფეხბურთიდან გააცილეს „გურიის“ ვეტერანი ფეხბურთელები თ. ჩხაიძე და გ. იმნაძე.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს“ სპ. კორ.).**

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დნეპრი“ — „შახტიორი“ 4:2 (2:0).** აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ეს 6 ბურთი სამმა ფეხბურთელმა გაიტანა: დნეპროპეტროვსკელებმა შახოვმა და სონმა — 2-2 და დონეცკელმა პეტროვმა — 2.
დუბლიორები — 3:0.

**„დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ 3:2 (2:1).** გოლები: შიროკი, გურინოვიჩი, მეტლიცკი („დინამო“), გალაგბერდიევი, გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“).
გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელი ალეინიკოვი.
დუბლიორები — 1:2.

**„ტორპედო“ — „მეტალისტი“ 1:0 (1:0).** ბურთი გაიტანა გრეჩნევმა.
გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები პანჩიშინი და დერკაჩი.
დუბლიორები — 1:3.

**„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 3:1 (1:0).** გოლები: შალიმოვი, როდიონოვი, მოსტოვოი („სპარტაკი“), იმრეკოვი („ჩერნომორეცი“).
გააფრთხილეს სპარტაკელი როდიონოვი, აგრეთვე, ოდესელები ს. კუზნეცოვი და პლოსკინა.
დუბლიორები — 2:0.

**„დინამო“ (კიევი) — „კაირატი“ 3:0 (1:0).** გოლები; პროტასოვი, კუზნეცოვი, ბელანოვი.
დუბლიორები — 1:0.

**„ჟალგირისი“ — „ზენიტი“ 2:0 (1:0).** გოლები: პანკრატიევი, ივანაუსკასი.
დუბლიორები — 2:1.

● **განვლილ** ტურში გატანილია წლევანდელი ჩემპიონატის გოლების სარეკორდო რაოდენობა — 25, რომელთაგან 19 მასპინძლებს ეკუთვნის და 6 სტუმრებს.

● **ტურის** ყველა მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა.

● **ჩემპიონატის** ბომბარდირთა შორის დაწინაურდა დნეპროპეტროვსკელი ე. შახოვი, რომლის ანგარიშზეა 13 გატანილი ბურთი. 11-11 გოლი გაიტანეს მოსკოვის დინამოელმა ა. ბოროდიუკმა და ლოკომოტიველმა მ. რუსიაევმა.

● **მიმდინარე** ჩემპიონატში სულ 47 თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. 30 პენალტი დაარტყეს მასპინძლებმა, 17 — სტუმრებმა, პენალტების საერთო რიცხვიდან რეალიზებული არაა 7 დარტყმა.

● **19 ტურია** დაუმარცხებლად იბრძვის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

● **კიევის** „დინამოს“ შემადგენლობაში ბოლო მატჩი ჩაატარა ა. ზავაროვმა, რომელიც ოქტომბრიდან იტალიის ჩემპიონატში ითამაშებს ტურინის „იუვენტუსის“ შემადგენლობაში.

● **საკავშირო** ჩემპიონატის მორიგი, 23-ე ტურის მატჩები გაიმართება 17 ოქტომბერს, თბილისის „დინამო“ ამ დღეს ვილნიუსში ითამაშებს „ჟალგირისთან“. ამ შუალედში, 11-12 სექტემბერს, გაიმართება სსრ კავშირის თასის მერვედფინალური მატჩები. ამ შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები, რომლებიც სეულის ოლიმპიადაზე იქნებიან დაკავებული.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ მ. | 21 | 14 | 4 | 3 | 34-13 | 32 |
| „სპარტაკი“ | 22 | 12 | 6 | 4 | 43-26 | 30 |
| „დინ.“ კ. | 19 | 12 | 4 | [illegible] | 28-15 | 28 |
| „ჟალგირ.“ | 22 | 9 | 8 | 5 | 33-15 | 26 |
| „ტორპედო“ | 21 | 11 | 3 | 7 | 30-26 | 25 |
| „დნეპრი“ | 23 | 10 | 5 | 8 | 32-30 | 25 |
| „ჩერნომორ.“ | 22 | 8 | 6 | 8 | 23-24 | 22 |
| „დინ.“ თბ. | 21 | 7 | 8 | 6 | 25-26 | 22 |
| „ლოკომ.“ | 20 | 8 | 5 | 7 | 26-21 | 21 |
| „ზენიტი“ | 22 | 8 | 4 | 10 | 24-32 | 20 |
| „მეტალის.“ | 23 | 7 | 6 | 10 | 29-27 | 20 |
| „არარატი“ | 18 | 6 | 4 | 8 | 27-32 | 16 |
| „კაირატი“ | 22 | 4 | 5 | 13 | 19-39 | 13 |
| „ნეფთჩი“ | 18 | 3 | 7 | 8 | 11-22 | 13 |
| „შახტიორი“ | 21 | 4 | 4 | 13 | 23-41 | 12 |
| „დინ.“ მნ. | 21 | 3 | 5 | 13 | 20-38 | 11 |

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXIX ტურის ორი შეხვედრა: „მერცხალი“ (მახარაძე) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ისკრა“ (ერევანი) 5:2. გათამაშების ცხრილები დღეისთვის ასე გამოიყურება.

### გათამაშების ცხრილები

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 28 | 15 | 6 | 7 | 45-32 | 36 |
| „ცემენტი“ | 25 | 13 | 7 | 5 | 31-20 | 33 |
| „სპარტ.“ ოქ. | 27 | 14 | 4 | 9 | 50-34 | 32 |
| „სპარტ.“ ტმ. | 27 | 15 | 1 | 11 | 39-40 | 31 |
| „სპარტ.“ ნჩ. | 25 | 14 | 3 | 8 | 40-25 | 31 |
| „მერც.“ | 28 | 14 | 2 | 12 | 37-38 | 30 |
| „ლოკომ.“ | 27 | 13 | 4 | 10 | 40-37 | 30 |
| „კოლხ.“ | 28 | 13 | 4 | 11 | 38-40 | 30 |
| „ლორი“ | 27 | 13 | 3 | 11 | 36-41 | 29 |
| „მეტალ.“ | 25 | 12 | 4 | 9 | 46-26 | 28 |
| „დრუჟბა“ | 27 | 12 | 4 | 11 | 40-29 | 28 |
| „დინ.“ ს. | 28 | 11 | 6 | 11 | 38-34 | 28 |
| „მაშუკი“ | 26 | 8 | 9 | 9 | 27-28 | 25 |
| „ლუჩი“ | 28 | 10 | 4 | 14 | 29-31 | 24 |
| „ისკრა“ | 28 | 10 | 3 | 15 | 31-51 | 23 |
| „ურალანი“ | 27 | 9 | 4 | 14 | 43-43 | 22 |
| „ვოლგარი“ | 26 | 9 | 2 | 15 | 27-37 | 20 |
| „ოლიმპია“ | 27 | 8 | 4 | 15 | 28-53 | 20 |
| „ნარტი“ | 27 | 7 | 6 | 14 | 32-43 | 20 |
| „სპარტ.“ ან. | 27 | 8 | 2 | 17 | 27-41 | 18 |

### IX ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ.“ ქ. | 21 | 17 | 3 | 1 | 45-14 | 37 |
| „ქიაფაზი“ | 21 | 15 | 1 | 5 | 59-21 | 31 |
| „მეტალურ.“ | 21 | 14 | 3 | 4 | 48-23 | 31 |
| „სოკოლი“ | 20 | 13 | 4 | 3 | 48-21 | 30 |
| „ატომმაში“ | 21 | 9 | 5 | 7 | 32-25 | 23 |
| „გოიაზანი“ | 21 | 9 | 4 | 8 | 36-27 | 22 |
| „დილა“ | 21 | 9 | 3 | 9 | 33-40 | 21 |
| „დინამო“ | 21 | 9 | 2 | 10 | 30-31 | 20 |
| „თერგი“ | 19 | 8 | 3 | 8 | 28-26 | 19 |
| „ხაზარი“ | 21 | 7 | 5 | 9 | 23-35 | 19 |
| „შევარ.“-სპი | 21 | 7 | 4 | 10 | 28-42 | 18 |
| „ტექსტილ.“ | 20 | 6 | 5 | 9 | 24-26 | 17 |
| „ლ.“ (მ. წ.) | 20 | 5 | 4 | 11 | 22-37 | 14 |
| „ტორპ“ ვ. | 20 | 5 | 2 | 13 | 20-36 | 12 |
| „ლოკ.“-ომც | 21 | 4 | 2 | 15 | 24-50 | 10 |
| „ბაკინეცი“ | 21 | 2 | 2 | 17 | 14-59 | [illegible] |

## I ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში გაიმართა ორი შეხვედრა: ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — დინამო“ (სტავროპოლი) 2:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:1.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**დღეს იწყება ფეხბურთში ევროპის საკლუბო გათამაშებათა პირველი ტური. 1988-89 წლების ამ ტურნირში სსრ კავშირი კვლავინდებურად 6 კლუბს გამოიყვანს: ერთს — ჩემპიონთა თასზე, ერთს — თასების მფლობელთა თასზე და ოთხს — უეფა-ს თასზე.**

**ევროპის** საკლუბო გათამაშებებში ახლად დადგენილი წესის მიხედვით პირველ ეტაპზე ფავორიტები ერთმანეთს არ ხვდებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ სუსტებს არ შეექმნათ დასკვნით, უფრო რთულ ეტაპებზე იოლად მოხვედრის შესაძლებლობა. მაგრამ დღეს სამივე ტურნირზე მაინც არის რამდენიმე წყვილი, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევს. ასეთებია, მაგალითად, ჩემპიონთა თასზე „დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ვერდერი“ (გფრ), „ჰონვედი“ (უნგრეთი) — „სელტიკი“ (შოტლანდია), თასების მფლობელთა თასზე „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „მეცი“ (საფრანგეთი), „როდა“ (ჰოლანდია) — „გიმარაეში“ (პორტუგალია), უეფა-ს თასზე „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია), „ბაიერნი“ (გფრ) — „ლიგია“ (პოლონეთი), „რომა“ (იტალია) — „ნიურნბერგი“ (გფრ) და სხვანი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ყურადღების ცენტრშია საბჭოთა გუნდების გამოსვლები. შეგახსენებთ წყვილებს, სადაც ჩვენი კლუბები მონაწილეობენ:

**ჩემპიონთა თასი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „გლენტორანი“ (ჩრდილოეთ ირლანდია).**

**თასების მფლობელთა თასი. „ბორაცი“ (იუგოსლავია) — „მეტალისტი“ (ხარკოვი).**

**უეფა-ს თასი. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „აუსტრია“ (ავსტრია); „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)** — „ბორდო“ (საფრანგეთი); „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მალმე“ (შვეცია); „თრაკია“ (ბულგარეთი) — „დინამო“ (მინსკი).

მოკლედ ჩვენი მეტოქეების შესახებ:

**„სპარტაკის“** მეტოქე „გლენტორანი“ (ბელფასტი) ჩრდილოეთ ირლანდიის 18-გზის ჩემპიონია. კლუბი 105 წლის წინ შეიქმნა, მას ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში გამოსვლის საკმაო გამოცდილება აქვს. „გლენტორანი“ ამჟამად აღმავლობას განიცდის, შარშან იგი თავისი ქვეყნის ჩემპიონიც იყო და თასის მფლობელიც. მწვრთნელია ტ. ჯექსონი. გუნდის შემადგენლობაში გამოდიან საუკეთესო სნაიპერი ჯერი მულანი, ნახევარმცველი პეტ მაკოემი, მცველი ტერი მური, მეკარე ალენ პატერსონი და სხვანი.

**ხარკოველთა** წინააღმდეგ ითამაშებს იუგოსლავიის „ბორაცი“ (ბანია-ლუკა). ეს გუნდი წლეულს მეორედ მონაწილეობს ევროპის საკლუბო ტურნირში, იუგოსლავიის პირველობაზე იგი მეორე ლიგაში გამოდის და იქაც ჯერჯერობით ლიდერთა შორის არ იმყოფება. ამ კლუბის დიდი წარმატება იყო იუგოსლავიის თასის ფინალურ მატჩში განთქმული „ცრვენა ზვეზდას“ დამარცხება. „ბორაცი“ 1926 წელს შეიქმნა, რამდენიმეჯერ გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში. მწვრთნელია იოსიფ კუჟე, წამყვანი მოთამაშეებია ფორვარდები სენად ლუპიჩი, სუად ვეშირევიჩი, მცველი ზვინკო ლიპოვაცი და სხვანი.

**ვენის „აუსტრიას“** წინა წლებში არაერთხელ უთამაშია საბჭოთა გუნდებთან, მათ შორის კიევისა და მოსკოვის დინამოელებთან, ამჯერად მისი მეტოქეა ვილნიუსის „ჟალგირისი“. „აუსტრია“ თავისი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, მას ხელმძღვანელობს მწვრთნელი აუგუსტ შტარეკი, მოთამაშეთაგან გამოირჩევიან დასავლეთგერმანელი მიხაელ კოუნასტი და არგენტინელი ხოსე ალბერტო პერკუდანი, აგრეთვე, მეკარე ფრანც ვოლფარტი, მცველი ჰერბერტ პროხაზკა, თავდამსხმელი ჰერალდ ბაუგარტნერი და სხვანი.

**საფრანგეთის** ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „ბორდო“ ჯერჯერობით დაუძლეველია ჩვენი გუნდებისთვის, „ბორდომ“ წინა წლებში ჩემპიონთა თასზე დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, შემდეგ თასების მფლობელთა თასზე — მოსკოვის „ტორპედო“, ახლა, უკვე უეფა-ს თასზე, იგი კვლავ „დნეპრს“ ხვდება. წლევანდელი სეზონის წინ „ბორდომ“ დიდი დანაკლისი განიცადა, როცა კლუბი დატოვეს ცნობილმა ფეხბურთელებმა ჟირარმა, ტურემ, ფარგონმა, ზლატკო ვუიოვიჩმა, მაგრამ მის რიგებს შეემატნენ საფრანგეთის ნაკრების მოთამაშე სტოპირა, ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი შიფო, რომელიც აქ იტალიის „ინტერიდან“ გადმოვიდა, ინგლისის ნაკრების მოთამაშე ალენი, აგრეთვე, საფრანგეთის ნაკრების მოთამაშე ჟენგინი, რომელიც უწინ „მარსელში“ თამაშობდა. გუნდს წვრთნის ემე ჟაკე.

**შვეციის** ჩემპიონატში ამჟამად დამაჯერებლად ლიდერობს „მალმე“, რომელიც უეფა-ს თასზე მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქეა. „მალმეს“ 20 ტურის შემდეგ 32 ქულა აქვს, შარშანდელი ჩემპიონი „გეტებორგი“ მას 5 ქულით ჩამორჩება. შვეციის ჩემპიონატის ლიდერი ახლა ძალზე შედეგიანად თამაშობს, განსაკუთრებით კარგ ფორმაში არიან ჰოკან ლინდემანი, მარტინ დალინი, აქტიური ნახევარმცველები მაგნუს ანდერსონი და ტურბორნ პერსონი. „მალმე“ თავისი ქვეყნის 13-გზის ჩემპიონთა. გუნდში გამოირჩევიან, აგრეთვე, უნივერსალური ფეხბურთელი მ. ანდერსონი, მეკარე ი. მელერი, ნახევარმცველი ი. ტერმი და სხვანი. გუნდს წვრთნის რ. ჰოდგსონი.

**და ბოლოს,** „თრაკია“, მინსკელთა მეტოქე, რომელმაც ბულგარეთის შარშანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. „თრაკიის“ მწვრთნელია ივან გლუხჩევი, რომელიც განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს თავდამსხმელებზე ანტიმ ფეხლევანოვზე და ათანას ფაშევზე, მეკარე ცვეტან ნედელიაკოვზე, მცველებზე დიმიტრ მლადენცევზე, ივან კოჩევზე, ნახევარმცველებზე ბორის ხვოინევზე, მარინ ბაკალოვზე, ტოდორ ბოცევზე და სხვებზე. ბულგარელებს იმედი აქვთ, რომ ისინი თავიანთ მინდორზე პლოვდივში 7 ივნისს წარმატებით ითამაშებენ.

# სკანდალი ბრაზილიურ ფეხბურთში

დაიწყო ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი და მაშინვე დიდი უსიამოვნებანი მოხდა ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციისა და ბრაზილიის პროფესიული კლუბების ხელმძღვანელებს შორის.

განვლილ პარასკევს, ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე, ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა ახალი წესი, რომელიც გამორიცხავს ფრედ დამთავრებულ მატჩებს. ამიერიდან, თუ ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩი ფრედ დამთავრდა, დაინიშნება მატჩისშემდგომი დამატებითი 11-მეტრიანები.

ეს ბოლო წვეთი იყო, რომელმაც კლუბების დირექტორების მოთმინების ფიალა აავსო. ამიტომაც, როცა ცნობილი კლუბების „ბოტაფოგოსა“ და „ფლუმინენსეს“ მატჩი ფრედ დამთავრდა (1:1), მეტოქეებმა არად ჩააგდეს ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება და პირდაპირ გასახდელისკენ გაემართნენ. „ბოტაფოგოსა“ და „ფლუმინენსეს“ პროტესტს შეუერთდნენ სხვა კლუბებიც, კერძოდ, „ფლამენგო“, „ვასკო და გამა“, კლუბები მოითხოვენ ახალი აბსურდული წესის გაუქმებას. განთქმულმა ფეხბურთელმა ზიკომ ბრაზილიელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს, როგორ გამოვლინდება ბრაზილიის ჩემპიონი, ჩვენ ეს დღემდე არ ვიცით, ამას კი დაემატა პენალტების ყოვლად გაუგებარი კანონი. ვფიქრობთ, საქმეში უნდა ჩაერიოს ხელისუფლება, ვინაიდან ფეხბურთი ბრაზილიაში თავისი მნიშვნელობით საგრძნობლად აღემატება უბრალო სპორტული თამაშის მასშტაბებს.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 5 სექტემბერი.
რრკ „ელმავალი" (თბილისი) — „მშენებელი" (ქუთაისი) 17:9 (9:0).

**რრკ:** გეგუჩაძე; საცერაძე, მანთიძე, ჰეიშვილი, მეტრეველი; ჩავლეიშვილი, ნ. გაბრიჩიძე; ბაკურაძე, ძიძაძე (ცაკაბაძე, 28), ქ. გიუნაშვილი, ხუადე, კაშია, ჭაფარაშვილი, გ. გიუნაშვილი, მონიავა.

**„მშენებელი":** ყორყოლიანი; ხარშილაძე, ლოსაბერიძე, ბებელია (ლიპარტელიანი, 42), ქ. გაბრიჩიძე; დეისაძე, იობიძე; ბაბუნაშვილი (ობოლაძე, 42), ფირცხალავა (ტურძელაძე, 42) ჰოქაბერიძე, გრიგალავა, ისაკაძე, ოდიშარია, ფხაკაძე ნემსიწვერიძე (ლილუაშვილი, 42).

მსაჯი ვალერი სოკოლოვი (მოსკოვი).

გოლები: რრკ — არევნი (6, ჰეიშვილი), 3 ლელო (24, 53: მანთიძე; 69, საცერაძე), რეალიზაცია (24, ჩავლეიშვილი); „მშენებელი" — ლელო (48. დეისაძე), რეალიზაციით (ლილუაშვილი), საჯარიმო (59, ლილუაშვილი).

თავიდანვე ვიტყვით: ქუთაისელთა დამარცხებამ რეგბის ქომაგები არ უნდა შეაშინოს. საქმე ისაა, რომ საკავშირო ჩემპიონატის ფრიად ორიგინალური დებულების თანახმად, გათამაშების საბოლოო ცხრილში მეტოქეებს გუშინწინდელი მატჩის შედეგი არ ჩაეთვლებათ. უეჭველია, ამიტომ იყო, ქუთაისელთა მწვრთნელებმა რვა ძლიერი რეგბისტის დასვენება და კრასნოიარსკელებთან ბოლო, გადამწყვეტი მატჩისთვის ძალების შემონახვა რომ გადაწყვიტეს. მაგრამ სტუმართა ამ სტრატეგიულ ჩანაფიქრს შესრულება არ ეწერა. თბილისელებმა, რომლებმაც წელს უკვე სამჯერ წააგეს ჩემპიონებთან და ვერც წინა ტურში ითამაშეს რიგიანად, ამჯერად თავგამოდებით იბრძოლეს. მეტიც, შესვენებამდე რკინიგზელთა მორკინალეებმა ისეთი შემართებით ითამაშეს, იმდენად დაჯაბნეს მეტოქე, რომ მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტუმართა შორის ოთხი წამყვანი მოთამაშე გამოჩნდა. ამან, ცხადია, ასე თუ ისე მაინც გაათანაბრა მეტოქეთა ძალები, მაგრამ გალაღებულ მასპინძელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. გუნდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ დღეს მშვენივრად ითამაშეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელთა მიერ გატანილი მესამე ლელო, როცა სამმეოთხედელებმა შეტევაში სწრაფად ჩართეს მცველი და ქუთაისელთა გამოცდილი შუა სამმეოთხედელების სამოქმედო არეში გაარღვიეს დაცვა. და, მაინც, ერთი მხრივ ჩავლეიშვილს, მეორე მხრივ კი ყორყოლიანსა და დეისაძეს ნაკლებად რომ ეთამაშათ ფეხით, მატჩის სანახაობრივი მხარე კიდევ უფრო მოიგებდა.

ამავე ტურში კრასნოიარსკის ეტს-მა შინ დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი" — 12:9 და, „მშენებლის" დარად, პირველი ოთხეულის შეჯიბრებაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

**„ა" ქვეჯგუფი**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 26 | 20 | 1 | 5 | 67 | (1) |
| ეტს (კრასნ.) | 26 | 17 | 3 | 6 | 63 | (3) |
| „ლოკ." (მოს.) | 26 | 14 | 4 | 8 | 58 | (8) |
| რრკ („ელმავ.") | 26 | 11 | 1 | 14 | 49 | (1) |

ცხრილის „ქ." გრაფაში ფრჩხილებში მოცემულია „ოქროს ქულების" რაოდენობა. მორიგ, ბოლოსწინა ტურში ერთმანეთს ხვდებიან „ლოკომოტივი" — „მშენებელი" და რრკ-ეტს.

„ბ" ქვეჯგუფში მატჩები ასე დამთავრდა: „ავიატორი" (კიევი) — სსა (მონინო) 9:15, ასკ (ალმა-ათა) — „სლავა" (მოსკოვი) 9:0. ბოლოსწინა ტურის წინ, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან „სლავა" — სსა და „ავიატორი" — ასკ, სსა-ს 66 ქულა აქვს (26 თამაშში), ასკ-ს — 59 (25), „სლავას" — 57 (26), „ავიატორს" — 55 (25).

# ოლიმპიური მოზაიკა



● **1988 წლის** თამაშების ოფიციალური ჰიმნი იტალიელმა კომპოზიტორმა ჯორჯო მოროდერამ დაწერა. სპეციალურმა კომისიამ აღნიშნა ჰიმნის მელოდიურობა და კეთილხმოვანი რიტმი. მაგრამ მას ოპონენტებიც გამოუჩნდა. სამხრეთკორეელ კომპოზიტორებს არ მოსწონთ, რომ ჰიმნის ავტორი უცხოელია.

● **სეულში** ოფიციალურად გაიხსნა ოლიმპიური სოფელი, რომელშიც 161 ქვეყნის წარმომადგენლები იცხოვრებენ. ოლიმპიური სოფლის მშენებლობა ორგანიზატორებს 300 მილიონი დოლარი დაუჯდათ. სოფელში განლაგებულია 86 მრავალსართულიანი შენობა, 3.692 ბინით, რომელიც 13 ათას სპორტსმენს მიიღებს.

● **სპორტსმენთა** მენიუ, რომელიც გაანგარიშებულია ხუთდღიან ციკლზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 266 კერძს მოიცავს. აქ გათვალისწინებულია ყველაფერი, მათ შორის რელიგიური და დიეტური თავისებურებებიც.

● **ოლიმპიელთა** უსაფრთხოების მიზნით სოფელი გარშემორტყმულია 3,5 მეტრის სიმაღლის ღობით. მას უშიშროების სპეციალური ძალები იცავენ.

● **სეულში** ჩავიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. იგი დარწმუნებულია, რომ ორგანიზატორები თავს გაართმევენ მათზე დაკისრებულ არც ისე იოლ მოვალეობას. 11-12 სექტემბერს სამარანჩის ხელმძღვანელობით გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა და სესია, რომელმაც უნდა დაამტკიცოს 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყნის ვინაობა.

● **შვეიცარიის** სამი ტელესადგური გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე გადაცემებს საერთო ჯამში 555 საათს უთმობს. ეს ტელეკომენტატორებისგან საკმაოდ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. განსაკუთრებით ძნელი დღე იქნება 24 სექტემბერი, როცა სამივე არხით ერთდროულად გადაიცემა შეჯიბრებები აფროსნობაში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში.

● **კრიტიკულ** მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გფრ-ის მხედრები — მომავალი ოლიმპიადის მთავარი ფავორიტები. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიო ჩემპიონის გერდ ვილტფანგისა და მისი თანაგუნდელის კურტ გრავემაიერის ცხენებმა ტრავმა მიიღეს. იმავე დღეში აღმოჩნდა ავსტრიელი მხედარი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰუგო სიმონი. არა და ამ სახეობაში ოთხფეხა პარტნიორებისგან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

● **ოთხი** წლის წინ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ავსტრიის ერთ-ერთი უძლიერესი ძალოსანი შტეფან ლაგნერი, რომელმაც სუპერმძიმეწონოსანთა ტურნირში მეოთხე ადგილი დაიკავა, შემჩნეულ იქნა დოპინგის მიღებაში. სპორტსმენმა, როგორც ჩანს ჭკუა ვერ ისწავლა და წლეულს ივნისში კვლავ მიმართა დოპინგს. ლაგნერი დისკვალიფიცირებულია ექვსი თვით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიადაზე იგი ველარ გამოვა.

● **პოლონელმა** მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სწრაფი, ნაუცბათევი აკლიმატიზაცია მსროლელთა შედეგიანობის ხარისხს სულ მცირე 13-15 პროცენტით შეამცირებს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრების დაწყებამდე რამდენი დღით ადრე ჩავლენ სპორტსმენები სეულში.



სეულის სატელევიზიო ანძა.

● **ოლიმპიადების** ისტორიაში პირველად, იაპონიის დელეგაციის ალამს თამაშების გახსნის ცერემონიალზე სპორტსმენი ქალი წაიღებს. ეს პატივი წილად ხვდა სინქრონული ცურვის ოსტატს, 21 წლის ნივაკე კოტანის. ოლიმპიური გუნდის კაპიტნად კი დანიშნულია მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში ხიტოსი საიტო.

● **აშშ-ს** ოლიმპიური გუნდის წევრებს დაურიგდათ სპეციალური ლექსიკონ-ცნობარები, რომლებიც მათ ნებისმიერი ინფორმაციით მოამარაგებს. ამ ლექსიკონების დახმარებით ადვილი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარება, თუ რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი ამის სურვილს გამოთქვამენ.

● **კრისტა** როტენბურგერი (გდრ) ამ ოლიმპიადაზე მარტო არ იქნება. როგორც ცნობილია, ოლიმპიური ჩემპიონი ციგურაობაში სატრეკო ველოსპორტის ოსტატიცაა და აქაც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ასეთივე გეგმებით გამოდის სეულში აზიის ერთ-ერთი საუკეთესო მოციგურე, იაპონელი სეიკო ხასიმოტო. იგიც ველოსპორტში ცდის ძალებს და ადვილი შესაძლებელია რომელიმე სერიაში როტენბურგერს შეხვდეს კიდეც.

● **მოკრივეთა** ოლიმპიური ტურნირი (გაიმართება 400-ზე მეტი შეხვედრა) პირველად ჩატარდება ორ თანაბარი მნიშვნელობის რინგზე. მეორე რინგის გამართვა აუცილებელი გახდა იმიტომ, რომ ტურნირში მონაწილეობის სურვილი სარეკორდოდ ბევრმა მოკრივემ (600 კაცმა) გამოთქვა. ორი რინგის მოწყობის წინააღმდეგ იბრძოდა ამერიკული ტელეკომპანია ენ-ბი-სი, რომელსაც ნაყიდი აქვს ტელერეპორტაჟების მონოპოლიური უფლება, მაგრამ მის პროტესტს შედეგი არ გამოუღია.

● **გამოვიდა** ყოველდღიური ოლიმპიური გაზეთი „სეულ ოლიმპიანის" პირველი ნომერი, რომელიც 64 გვერდს მოიცავს. გაზეთში დაბეჭდილია მასალები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. თამაშების მსვლელობაში დამატებით გამოვა კიდევ ორი სპეციალური ნომერი — პირველი შვიდი დღის, მეორე კი თამაშების დამთავრების შემდეგ.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 7 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ევროპის საკლუბო ტურნირების ფეხბურთში: „თრაკია" (ბულგარეთი) — „დინამო" (მინსკი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ბორდო" (საფრანგეთი) — **19.25 (1);** „სპარტაკი" (მოსკოვი) — „გლენტორანი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — **22.50 (1);** „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ავსტრია" (ავსტრია) — **0.40 (1);** „ბორაცი" (იუგოსლავია) — „მეტალისტი" (ხარკოვი) — **1.30 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 7 სექტემბერი.** გადმოიცემა ევროპის საკლუბო ტურნირების იგივე მატჩები, იმავე დროს.



**ბელგიაში,** „სპა-ფრანკორშამპის" ტრასაზე გაიმართა „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეთერთმეტე ეტაპი. გათამაშდა ბელგიის „დიდი პრიზი".

ბელგიის ტრასა საკმაოდ სწრაფია და ამიტომ რბოლაც ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს.

მეთერთმეტე ეტაპამდე სენას და პროსტს 66-66 ქულა ჰქონდათ, მაგრამ ლიდერობდა ბრაზილიელი სპორტსმენი, რადგან მას 10 ეტაპიდან 6 „დიდი პრიზი" ჰქონდა მოგებული, პროსტს კი — ოთხი.

[illegible] აირტონ სენამ და ამით მან გაიმეორა ნიკი ლაუდას, რონი პეტერსონისა და ნელსონ პიკეს მიერ დამყარებული რეკორდი. ავსტრიელმა სპორტსმენმა ეს მოახერხა ორჯერ (1974 და 1975 წწ.), შვედმა — 1973 წელს, ხოლო სენას თანამემამულემ და მეტოქემ 1984 წელს.

რბოლის დღეს სტარტზე პირველი-მეორე ადგილები ეკავათ „მაკლარენის" მრბოლებს, მესამე და მეოთხე — გერჰარდ ბერგერს და მიქელე ალბორეტოს.

## „მაკლარენი" და დანარჩენები

შეჯიბრება მეტად საინტერესოდ წარიმართა. სენა სტარტზე რამოდენიმე წამით შეყოვნდა და წინ პროსტი გავიდა. 26-ე წრემდე რბოლას ლიდერობდა ფრანგი სპორტსმენი, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მისი ავტომობილი სიჩქარეს ჰკარგავდა და ბოქსისკენ გაემართა. დაწინაურდა აირტონ სენა. მექანიკოსებმა პროსტის „მაკლარენი" სწრაფად შეაკეთეს და სულ მალე იგი ლიდერთა ჯგუფს წამოეწია, ოსტატურად აუარა გვერდი ყველას და აღმოჩნდა თავისი თანაგუნდელის უკან. საბოლოოდ ფინიშის ხაზი მათ ასეთივე თანმიმდევრობით გადაკვეთეს. 43 წრე სენამ გაიარა 1 საათსა და 28 წუთში (საშუალო სიჩქარე 298,420 კმ/სთ). ეს ბრაზილიელი სპორტსმენის მეცამეტე „დიდი პრიზია" ოთხწლიანი სპორტული კარიერის მანძილზე და მეშვიდე წლევანდელ სეზონში.

რბოლის საბოლოო შედეგი ასეთია: 1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9 ქულა; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 6 (ორივე — „მაკლარენ-ჰონდა"); 3. ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 4; 4. ალესანდრო ნანინი (იტალია) — 3 (ორივე — „ბენეტონ ფორდ კოსუორტი"); 5. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ ჯადი") — 2; 6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა") — 1.

11 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. აირტონ სენა — 75 ქულა; 2. ალენ პროსტი — 72; 3. გერჰარდ ბერგერი — 28; 4. ტიერი ბუტსანი — 20; 5-6. მიქელე ალბორეტო და ნელსონ პიკე — 16-16; 7-8. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ მეგატრონი") და ალესანდრო ნანინი — 9-9; 9-10. ნაიჯელ მენსელი და ივან კაპელი — 6-6; 11-12. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ ფორდ კოსუორტი") და მაურიციო გუგელმინი (ბრაზილია, „მარჩ ჯადი") — 5-5; 13. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „რიალ ფორდ კოსუორტი") — 3; 14. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს ჯადი") — 2; 15-17. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ლოტუს-ჰონდა"), ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ მეგატრონი") და პიერ-ლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი ფორდ კოსუორტი") — თითო ქულა.

როგორც ხედავთ, აირტონ სენას და ალენ პროსტს შეუძლიათ მოხსნან ოთხი წლის წინანდელი რეკორდი, როცა ფრანგმა სპორტსმენმა ნიკი ლაუდასთან ერთად 12 „დიდი პრიზი" მოიგო.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ასეთი მდგომარეობაა: 1. „მაკლარენ ჰონდა" — 147; 2. „ფერარი" — 44; 3. „ბენეტონ ფორდ კოსუორტი" — 29; 4. „ლოტუს-ჰონდა" — 17; 5. „მარჩ ჯადი" — 11; 6. „ეროუზ მეგატრონი" — 10; 7. „უილიამს ჯადი" — 8; 8. „ტაირელ ფორდ კოსუორტი" — 5; 9. „რიალ ფორდ კოსუორტი" — 3; 10. „მინარდი ფორდ კოსუორტი" — 1 ქულა.

„მაკლარენმა" ოთხი წლის წინ 16 ეტაპის ჯამში 143,5 ქულა დააგროვა, ახლა კი 11 ეტაპიდან 147. ესეც თავისებური რეკორდია.

ჩემპიონატის მეთორმეტე ეტაპი გაიმართება 11 სექტემბერს, იტალიაში, „მონცას" ტრასაზე.

**დავით ჩუბინიძე.**


რედაქტორი
თ. ბაჩიკილაძე



**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის კომპლექსური სპორტული სკოლა** აცხადებს 1988-89 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიღებას მაგიდის ჩოგბურთში 1980-83 წლებში, ბადმინტონში 1977-80 წლებში, ტყვიის სროლაში 1975-76 წლებში დაბადებულთათვის.
ჩვენი მისამართი: თბილისი, დიდუბის ქ. № 6, ტელ.: 51-83-95.
**სკოლის დირექცია.**



**ჩვენი მისამართი:** [illegible] — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, [illegible] — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-56, [illegible] — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, [illegible] — 93-97-38, [illegible] — 93-97-37.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სასტამბო კომბინატში: [illegible], 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05537